



# 2020 წლის საქმიანობის ანგარიში



შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის  
საკითხებში საქართველოს სახელმწიფო  
მინისტრის აპარატი



## სარჩევი

შესავალი.....	2
1. შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკა.....	3
1.1. სამშვიდობო ინიციატივის „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ განხორციელება.....	3
1.2. თანამშრომლობა საერთაშორისო პარტნიორებთან.....	5
1.3. ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებები.....	7
1.4. შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად უგზო-უკვლოდ დაკარგული ადამიანების ხვედრის გარკვევა.....	11
1.5. ჩართულობის სამოქმედო გეგმის იმპლემენტაცია.....	13
1.5.1. პანდემიის პერიოდში კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის დახმარება და სამედიცინო მომსახურებაზე წვდომა.....	13
1.5.2. ხარისხიან განათლებაზე წვდომა.....	16
1.5.3. სოფლის მეურნეობა.....	17
1.5.4. დიალოგი და ნდობის აღდგენა.....	17
1.6. საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირება.....	19
1.7. ქალების ჩართულობა სამშვიდობო პროცესში.....	22
2. სამოქალაქო თანასწორობა და ინტეგრაცია.....	23
2.1 ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მხარდაჭერა COVID 19 პანდემიის პერიოდში.....	24
2.2 სახელმწიფო ენის ცოდნის გაუმჯობესება.....	27
2.3 ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.....	27
2.4 თანაბარი და სრულფასოვანი მონაწილეობა სამოქალაქო და პოლიტიკურ ცხოვრებაში.....	29
2.5 თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური პირობებისა და შესაძლებლობების შექმნა.....	30
2.6 ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის შენარჩუნება და ტოლერანტული გარემოს უზრუნველყოფა.....	31
2.7 თანამშრომლობა ადგილობრივ და საერთაშორისო აქტორებთან.....	31



## შესავალი

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი განსაზღვრავს, ახორციელებს და კოორდინაციას უწევს საქმიანობას ორი პრიორიტეტული მიმართულებით - 1) მიმდინარე ოკუპაციის შედეგად გაყოფილ საზოგადოებებს შორის შერიგება, ნდობის აღდგენა და ჩართულობის პოლიტიკის განხორციელება; 2) საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა უფლებების დაცვის ხელშეწყობა, თანასწორობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის უზრუნველყოფა.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის დეოკუპაციის და რუსეთის ფედერაციის მიერ მათი შემდგომი ანექსიისკენ გადადგმული ნაბიჯების შეკავებისა და აღკვეთის, ასევე ადგილზე მდგრადი მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ისევე როგორც საერთაშორისო არენაზე საქართველოს რეგიონების არაღიარების პოლიტიკის შემდგომი გამტკიცების კვალდაკვალ, შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის სტრატეგიული მიზანია ხელოვნურად გაყოფილი მოსახლეობის დიალოგის, ნდობის მშენებლობისა და ჩართულობის გზით შერიგება, მათი მდგომარეობის გაუმჯობესება და მათთვის უკეთესი მომავლის პერსპექტივის შექმნა, მათ შორის კონფლიქტის სრულმასშტაბიან მოგვარებამდე. აღნიშნული პოლიტიკა არის ცალსახად ადამიანზე ორიენტირებული და მისი ამოცანაა ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობა სარგებლობდეს იმავე შესაძლებლობებით, პროგრამებითა და სერვისებით, რაც ხელმისაწვდომია დანარჩენ საქართველოში მცხოვრები პირებისთვის.

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის პოლიტიკის ძირითად მიზანს წარმოადგენს ეთნიკური უმცირესობების უფლებათა დაცვა, მათი სრულფასოვანი და ღირსეული მონაწილეობის უზრუნველყოფა ქვეყნის განვითარებაში, ასევე ტოლერანტული გარემოს დამკვიდრებისა და განმტკიცების ხელშეწყობა.



დასახული ამოცანებისა და მიზნების მისაღწევად, 2020 წელს, გლობალური პანდემიის მიუხედავად, წარმართა ინტენსიური მუშაობა, შემუშავდა, ამოქმედდა და განხორციელდა მთელი რიგი ადამიანებზე ორიენტირებული ინიციატივები და პროგრამები.

## 1. შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკა

### 1.1. სამშვიდობო ინიციატივის „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ განხორციელება

საქართველოს რეგიონების აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მიმდინარე რუსული ოკუპაციის და ფაქტობრივი ანექსიისკენ გადადგმული ნაბიჯების, საქართველოს მოქალაქეების სიცოცხლის ხელყოფის ფაქტების, აღნიშნულ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის ფუნდამენტური უფლებების უხეში დარღვევის და ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციის, მავთულხლართების აღმართვის, გამყოფ ხაზებზე დაწესებული გადაადგილების შეზღუდვების და სხვა გამოწვევების ფონზე, რაც მნიშვნელოვნად ართულებს ხელოვნურად გაყოფილ საზოგადოებებს შორის დიალოგისა და ნდობის მშენებლობის დასახული მიზნების მიღწევას, საქართველოს მთავრობა განაგრძობს კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების თანმიმდევრულ და მტკიცე პოლიტიკას. ხელოვნურად შექმნილი ბარიერების მიუხედავად, გრძელდება ძალისხმევა კონფლიქტით დაშორიშორებული მოსახლეობის შერიგებისა და დიალოგის ხელშეწყობის მიმართულებით, რასაც თან სდევს მოსახლეობის ჰუმანიტარული და სოციალურ-ეკონომიკური საჭიროებები, პრაგმატული ინტერესები, სწრაფვა განვითარებისა და უკეთესი მომავლისკენ.

2020 წელს გაგრძელდა სამშვიდობო ინიციატივის "ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ" ეფექტიანი განხორციელება, რომელიც სამ ძირითად მიმართულებას მოიცავდა: 1) ვაჭრობის წახალისებას გამყოფი ხაზების გასწვრივ; 2) ხარისხიანი განათლების შესაძლებლობების უზრუნველყოფას აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთში მცხოვრები მოსახლეობისათვის; 3) ადგილობრივი მოსახლეობისთვის სხვადასხვა სახელმწიფო სერვისზე წვდომის გაუმჯობესებას.

აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით, 2020 წლის თებერვალ-ივლისში განხორციელდა სამშვიდობო ინიციატივით გათვალისწინებული ერთ-ერთი უპრეცედენტო ფინანსური ინსტრუმენტის - „მშვიდობის ფონდის უკეთესი მომავლისთვის“ ტექნიკური დახმარების პროგრამა, რომლის ფარგლებშიც მომზადდა ფონდის ფუნქციონირებისთვის საჭირო სხვადასხვა დოკუმენტი, მათ შორის შიდა საოპერაციო, საგრანტო და ფინანსების მოძიების სქემები. შედეგად, 2020 წლის 21 სექტემბერს, მშვიდობის ფონდმა დაიწყო სრულფასოვანი საქმიანობა, ხოლო 8 ოქტომბერს, პანდემიის მიუხედავად, გამოცხადდა პირველი საგრანტო კონკურსი გაყოფილ მოსახლეობას შორის ეკონომიკური კავშირების მხარდაჭერისა და გამყოფი ხაზის ორივე მხარეს ბიზნეს-პროექტების დაფინანსების მიზნით. კონკურსის ფარგლებში საქართველოს ორივე



ოკუპირებული რეგიონიდან 27 ბიზნეს-პროექტი დარეგისტრირდა, რომელთაგან 14 პროექტი შეირჩა შემდგომი დაფინანსების მიზნით.

პირველ საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტების დაფინანსება მოხდება ფონდისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით, 350,000 ლარის ფარგლებში, თუმცა 2021 წლიდან საქმიანობის განსახორციელებლად და გრანტების გასაცემად, მშვიდობის ფონდი მოიზიდავს საერთაშორისო დონორების დაფინანსებას, რისთვისაც 2020 წელს გრძელდებოდა აქტიური კონსულტაციები დონორ-ორგანიზაციებთან და საერთაშორისო პარტნიორებთან. აღსანიშნავია, რომ პარტნიორთა ნაწილმა, მათ შორის გერმანიამ და შვეიცარიამ უკვე გამოხატეს ფონდის მხარდაჭერისა და ფინანსური კონტრიბუციისთვის მზადყოფნა.

გამყოფი ხაზების გასწვრივ კონკრეტული სავაჭრო პროექტების/ინიციატივების განხორციელების გზით, ფონდი მოემსახურება ინიციატივით გათვალისწინებულ ამოცანებს, მშვიდობის მშენებლობას, გაყოფილ საზოგადოებებს შორის დიალოგს და ნდობის აღდგენას, საერთო ინტერესების გარშემო თანამშრომლობას და მოსახლეობის მდგომარეობის გაუმჯობესებას. ფონდის საქმიანობის დეტალური გაცნობა შესაძლებელია მის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (<http://www.peacefundbf.org/en>) და Facebook გვერდზე (<https://www.facebook.com/peacefundbf/>).

სამშვიდობო ინიციატივის საგანმანათლებლო მიმართულების ფარგლებში, გაგრძელდა 2019 წელს ამოქმედებული საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი სკოლისშემდგომი მომზადების პროგრამის განხორციელება. პროგრამა გულისხმობს ამ ტერიტორიებზე მცხოვრები ახალგაზრდებისთვის, შესარჩევი გამოცდების გარეშე, სპეციალური მოსამზადებელი კურსის გავლას თბილისსა და ზუგდიდში უფასო მოსამზადებელი ცენტრის ბაზაზე, უფასო მომზადებას მათთვის სპეციალურად შემუშავებული პროგრამით ათამდე შერჩევით საგანში, ასევე ყოველთვიურ სტიპენდიას 150 ლარის ოდენობით, საერთო საცხოვრებლით უზრუნველყოფას და ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, მხოლოდ შიდა ტესტირების საფუძველზე, უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გაგრძელებას, სადაც მათთვის გათვალისწინებულია 1%-იანი ქვოტა.

2020 წელს, 2019 წელთან შედარებით პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად ოკუპირებული რეგიონებიდან უფრო მეტი - 180 სტუდენტი დარეგისტრირდა. პანდემიის და დაკეტილი ე.წ. გადასასვლელი პუნქტების გამო პროგრამის განხორციელება შეფერხდა, თუმცა საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით ყველა დარეგისტრირებული ახალგაზრდა უგამოცდოდ ჩაირიცხა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში.



სამშვიდობო ინიციატივის შესაბამისად, 2020 წელს გაგრძელდა ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობისთვის სახელმწიფო სერვისებზე, მათ შორის საქართველოს მოქალაქის პასპორტზე, გამარტივებული წესით წვდომის უზრუნველყოფა.

## 1.2. თანამშრომლობა საერთაშორისო პარტნიორებთან

2020 წელს გაგრძელდა აქტიური თანამშრომლობა საერთაშორისო პარტნიორებთან როგორც ორმხრივი, ისე მრავალმხრივი ფორმატების ფარგლებში. სახელმწიფო მინისტრის აპარატი ყველა შესაძლებლობას იყენებდა, რათა საერთაშორისო თანამეგობრობისთვის მიეწოდებინა ინფორმაცია, როგორც შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის მიმართულებით მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯების, ისე საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში არსებული მძიმე ჰუმანიტარული და ადამიანის უფლებათა მდგომარეობის, ასევე ადგილზე ადამიანის უფლებათა მონიტორინგის მექანიზმების შექმნის აუცილებლობის შესახებ. საერთაშორისო პარტნიორებთან კომუნიკაციისას, განსაკუთრებული აქცენტი კეთდებოდა ახალგორის მიმართულებით ე.წ. გადასასვლელი პუნქტის დაკეტვის სავალალო შედეგებზე, რამაც მთლიან რეგიონში ჰუმანიტარული კრიზისი წარმოქმნა. ამასთან, ყოველდღიურ რეჟიმში მიმდინარეობდა აქტიური კონსულტაციები უკანონოდ დაკავებული საქართველოს მოქალაქეების უპირობო და დაუყოვნებელი გათავისუფლების საკითხთან დაკავშირებით.

საერთაშორისო ფორმატების ფარგლებში, უადრესად მნიშვნელოვანი იყო კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პოლიტიკის, მათ შორის სამშვიდობო ინიციატივის „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ განხილვა და პარტნიორების მხრიდან ურყევი მხარდაჭერის დაფიქსირება. კერძოდ:

- ❖ 2020 წლის 21 იანვარს გაიმართა ევროპარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის სხდომა, რომელშიც მონაწილეობა სახელმწიფო მინისტრმა მიიღო. სხდომაზე ვრცლად და მთელი სიმწვავეთ იქნა განხილული საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში არსებული ჰუმანიტარული და უფლებრივი მდგომარეობა, ასევე მთავრობის შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის განხორციელება;
- ❖ 2020 წლის 22 იანვარს ჩატარდა ნატო-საქართველოს კომისიის სხდომა, რომლის დღის წესრიგის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენდა კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარება და სამშვიდობო პოლიტიკა;
- ❖ 2020 წლის 24 იანვარს გაიმართა საქართველოსა და აშშ-ის სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის ხალხთაშორისი ურთიერთობებისა და კულტურული გაცვლების სამუშაო ჯგუფის შეხვედრა, რომელსაც თანა-თავმჯდომარეობს სახელმწიფო მინისტრის აპარატი. აშშ-მა კიდევ ერთხელ დააფიქსირა საქართველოს მთავრობის სამშვიდობო ინიციატივის „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ მხარდაჭერა, რაც ერთობლივ განცხადებაშიც აისახა. მხარეები შეთანხმდნენ, რომ ჩართულობა და



ხალხთაშორისი კონტაქტების ხელშეწყობა მნიშვნელოვანია მშვიდობისა და შერიგების მისაღწევად;

- ❖ 2020 წლის 12-13 თებერვალს ჩატარდა ევროკავშირი-საქართველოს საპარლამენტო ასოცირების კომიტეტის მე-9 სხდომა, სადაც სხვა საკითხებთან ერთად განიხილებოდა ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული გამოწვევები და საქართველოს სამშვიდობო პოლიტიკა. ევროპარლამენტარებმა მხარდაჭერა გამოხატეს საქართველოს მთავრობის სამშვიდობო ინიციატივისადმი „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“;
- ❖ 2020 წლის 2 ივლისს ვიდეო-კონფერენციის ფორმატში გაიმართა საქართველო-ევროკავშირის ადამიანის უფლებათა დიალოგის რიგით მე-13 შეხვედრა. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში ადამიანის უფლებების კუთხით არსებულ მძიმე ვითარებას. ერთობლივ განცხადებაში ევროკავშირის მხრიდან კიდევ ერთხელ დაფიქსირდა საქართველოს მთავრობის სამშვიდობო ინიციატივის „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ მტკიცე მხარდაჭერა;
- ❖ 2020 წლის 9 სექტემბერს დისტანციურ რეჟიმში გაიმართა ქართულ-ბრიტანული უორდროპის სტრატეგიული დიალოგის მე-7 შეხვედრა და პარალელური ღონისძიება - მრგვალი მაგიდა საქართველოში კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების თემაზე, სადაც ვრცლად იქნა განხილული საქართველოს სამშვიდობო პოლიტიკის განხორციელება. მხარეთა ერთობლივ კომუნიკეში გაერთიანებული სამეფო კიდევ ერთხელ მიესალმა საქართველოს მთავრობის ძალისხმევას კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების მიმართულებით, ასევე აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის მიმართ შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკას, მათ შორის სამშვიდობო ინიციატივას „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“;
- ❖ 2020 წლის 15 დეკემბერს დისტანციურ რეჟიმში გაიმართა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების კომიტეტის მე-6 სხდომა, რომლის დროსაც განხილულ იქნა ოკუპირებულ რეგიონებში არსებული მდგომარეობა და საქართველოს სამშვიდობო პოლიტიკის განხორციელების მიმდინარეობა.

21 სექტემბერს, მშვიდობის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად, სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით, გაიმართა მაღალი დონის ვებინარი თემაზე: „ადამიანზე ორიენტირებული სამშვიდობო პოლიტიკის განხორციელება საქართველოში, გლობალური პანდემიის ფონზე“. საპანელო დისკუსიაში სიტყვით გამოვიდნენ სახელმწიფო მინისტრი თეა ახვლედიანი, სამხრეთ კავკასიასა და საქართველოში კრიზისის საკითხებში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი ტოივო კლაარი, საქართველოში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩი ჰუბერტ ქნირში, საქართველოში აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მისიის ხელმძღვანელი პიტერ ვიბლერი, ასევე გეოპოლიტიკური კვლევების საერთაშორისო ცენტრის დირექტორი თენგიზ ფხალაძე. დისკუსიას მოდერაცია



გაუწია საქართველოში გაერო-ს მუდმივმა კოორდინატორმა საბინ მახლმა. ღონისძიებაში დისტანციურ რეჟიმში მონაწილეობა ასევე მიიღეს საქართველოში აკრედიტებულმა სხვადასხვა ქვეყნის ელჩებმა, საერთაშორისო ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა, საელჩოებისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებმა.

კონფერენციის ფარგლებში, მონაწილეებმა იმსჯელეს საქართველოს სამშვიდობო პოლიტიკაზე, შერიგებისა და ჩართულობის პროცესის, ისევე როგორც სამშვიდობო ინიციატივების განხორციელების მიმდინარეობაზე; ოკუპირებულ რეგიონებში უსაფრთხოების, ჰუმანიტარული და ადამიანის უფლებების კუთხით არსებულ რთულ ვითარებაზე, რომელიც კიდევ უფრო დამძიმდა პანდემიის პირობებში; განხილულ იქნა კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის წინაშე არსებული გამოწვევების დაძლევის მიზნით, საქართველოს მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯები, ამ კუთხით განხორციელებული საერთაშორისო მხარდაჭერა, ისევე როგორც ერთობლივი ძალისხმევის შემდგომი კონსოლიდაციის მნიშვნელობა და ომით გაყოფილი საზოგადოების შერიგებასა და ნდობის აღდგენასთან დაკავშირებით სამომავლო ხედვები.

სახელმწიფო მინისტრის აპარატს და უკრაინის დროებითი ოკუპირებული ტერიტორიების რეინტეგრაციის სამინისტროს შორის გაფორმებული „ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობისა მემორანდუმის“ ფარგლებში, ლტოლვილთა დანიის საბჭოს დახმარებით, 23 დეკემბერს გაიმართა დისტანციური შეხვედრა უწყებების წარმომადგენლებს შორის, რომელიც მიზნად ისახავდა უკრაინელი კოლეგებისთვის გამოცდილების გაზიარებას საქართველოში კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების მიმართულებით საქართველოს მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯების შესახებ. საუბარი შეეხო უწყებების საქმიანობას, მშვიდობის მშენებლობის პროცესს და ოკუპირებულ რეგიონებში ადამიანის უფლებების დარღვევებთან ბრძოლის გზებს.

### 1.3. **ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებები**

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი ხელმძღვანელობს ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების მეორე ჰუმანიტარულ სამუშაო ჯგუფს, სადაც ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის ფუნდამენტურ უფლებებთან ერთად, დღის წესრიგის უმთავრესი თემა არის იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნება. აღნიშნული საკითხი არის ქართული მხარის და საერთაშორისო პარტნიორებისათვის პრინციპული და პრიორიტეტული, რომლის არსებით განხილვას, სამწუხაროდ, მიზანმიმართულად ეშლება ხელი სხვა მონაწილეების მხრიდან.

COVID-19 პანდემიით გამოწვეული საყოველთაო შეზღუდვების, ასევე რუსეთის დესტრუქციული მიდგომის გამო, 2020 წლის განმავლობაში გადაიდო სამი დაგეგმილი რაუნდი. ერთწლიანი წყვეტის შემდეგ, ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების 51-ე რაუნდი





10-11 დეკემბერს გაიმართა. მოლაპარაკებების მეორე სამუშაო ჯგუფის ფარგლებში განხილულ იქნა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები, კერძოდ, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის უფლებრივი და ჰუმანიტარული მდგომარეობა, ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაცია, საოკუპაციო ხაზის გასწვრივ მავთულხლართებისა და სხვა ხელოვნური ბარიერების აღმართვის ფაქტები, საკუთრებაზე და სასოფლო-სამეურნეო მიწებზე წვდომის შეზღუდვა, გადაადგილებისა და მშობლიურ ენაზე განათლების უფლების აკრძალვა, უკანონო დაკავებები და სხვა ფუნდამენტური უფლებების უხეში დარღვევები. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ახალგორის მიმართულებით ე.წ. გადასასვლელი პუნქტების ხანგრძლივი ჩაკეტვით ადგილზე შექმნილ მძიმე ჰუმანიტარულ კრიზისზე და საოკუპაციო რეჟიმის მიერ ადგილობრივი მოსახლეობისთვის საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე უფასო ჯანდაცვის, მათ შორის გადაუდებელი მომსახურების მიღების შეფერხებაზე, რასაც ხშირ შემთხვევაში ადგილობრივი მცხოვრებლების სიცოცხლე ეწირება. მთელი სიმწვავეთ იქნა დაყენებული უკანონო პატიმრობაში მყოფი საქართველოს ყველა მოქალაქის უპირობო და დაუყოვნებელი გათავისუფლების საკითხი. ამასთან, ქართულმა მხარემ კიდევ ერთხელ მოითხოვა საქართველოს ოთხი მოქალაქის - დ. ბაშარულის, გ. ოთხოზორიას, ა. ტატუნაშვილისა და ი. კვარაცხელიას მკვლელობაზე პასუხისმგებელი პირების დასჯა.

მეორე სამუშაო ჯგუფის დღის წესრიგის შესაბამისად, საქართველოს დელეგაციამ კვლავ დააყენა იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა საკუთარ სახლებში უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების საკითხი. სამწუხაროდ, რუსეთის დელეგაციისა და დე-ფაქტო რეჟიმების წარმომადგენლებმა განხილვებში მონაწილეობის მიღებაზე ტრადიციულად უარი განაცხადეს და მოლაპარაკებათა დარბაზი დატოვეს.

2020 წლის განმავლობაში, დაგეგმილი რაუნდების გადადების მიუხედავად, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატს რეგულარულად ჰქონდა როგორც დისტანციური, ისე უშუალო კომუნიკაცია ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების თანა-თავმჯდომარეებთან, რომლის დროსაც განიხილებოდა მეორე სამუშაო ჯგუფის დღის წესრიგით გათვალისწინებული, ასევე პანდემიასთან ბრძოლის საკითხები, მათ შორის ინფორმაცია საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული ზომების შესახებ.

მნიშვნელოვანი იყო ერგნეთის ინციდენტებისა პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (IPRM) შეხვედრების აღდგენა თითქმის ერთწლიანი წყვეტის შემდეგ. 2020 წელს ერგნეთში ორი შეხვედრა გაიმართა, რომლის დროსაც განხილულ იქნა უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებების მდგომარეობასთან დაკავშირებული მწვავე საკითხები, უპირველესად, უკანონოდ დაკავებული საქართველოს მოქალაქეების დაუყოვნებელი გათავისუფლების და ახალგორის მიმართულებით თავისუფალი გადაადგილების უზრუნველყოფის აუცილებლობა.



საოკუპაციო რეჟიმის არაკონსტრუქციული მიდგომის გამო, კვლავაც შეწყვეტილია გალის ინციდენტებისა პრევენციისა და რეაგირების მექანიზმის (IPRM) შეხვედრები, რაც განსაკუთრებულ შემფოთებას იწვევს ადგილზე არსებული მძიმე მდგომარეობისა და სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე საკითხების სასწრაფო გადაჭრის საჭიროების გათვალისწინებით. სახელმწიფო მინისტრის აპარატი, სხვა სამთავრობო უწყებებთან მჭიდრო კოორდინაციით, მიმართავს ძალისხმევას და განაგრძობს თანამშრომლობას საერთაშორისო პარტნიორებთან, მათ შორის ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების თანათავმჯდომარეებთან, რათა უზრუნველყოს გალის შეხვედრების უპირობო აღდგენა. ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებისა და ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმების შეუფერხებელი ფუნქციონირება, ასევე ჰუმანიტარული საკითხების აპოლიტიკურ ჭრილში განხილვა უაღრესად მნიშვნელოვანი და აუცილებლებელია კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებისა და მათი ფუნდამენტური უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად.

სამწუხაროდ, 2020 წლის განმავლობაში გრძელდებოდა ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევა განურჩევლად მათი ეთნიკური კუთვნილებისა. ამ მხრივ, კვლავ განსაკუთრებით რთული ვითარება რჩება გალის და ახალგორის რაიონებში, სადაც ადგილი აქვს მოსახლეობის ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციას. ამასთან, პანდემიის შედეგად გართულებულმა ეპიდვითარებამ, ადგილზე არსებული არასათანადო სამედიცინო მომსახურების პირობებში, კიდევ უფრო დაამძიმა ოკუპირებული რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის მდგომარეობა.

პანდემიის მიუხედავად, ორივე მიმართულებით გრძელდებოდა საოკუპაციო ხაზის გასწვრივ მავთულხლართებისა და სხვა ხელოვნური ბარიერების აღმართვის უკანონო პროცესი, რამაც მნიშვნელოვნად შეზღუდა ადგილობრივი მოსახლეობის თავისუფალი გადაადგილება და საკუთარ სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთებზე წვდომა. წლის განმავლობაში, ე.წ. „ბორდერიზაციის“ ფაქტებს ადგილი ჰქონდა გორის მუნიციპალიტეტის სოფლების - გუგუტიანთკარი და ზემო ნიქოზი, ქარელის მუნიციპალიტეტის სოფლების - ცერონისის, კნოლევის, ტახტისძირის, დვანის, კოდას, ჭვრინისისა და ატოცის, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლების - ფახულანისა და მუჟავას, აგრეთვე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფლების - ხურჩისა და განმუხურის მიმდებარე ტერიტორიებზე.

2020 წელს საოკუპაციო რეჟიმმა გამოიყენა პანდემიით გამოწვეული მდგომარეობა და ვირუსის გავრცელების პრევენციის საბაზით აფხაზეთის რეგიონის მიმართულებით თავისუფალ გადაადგილებაზე მკაცრი შეზღუდვები დააწესა, რაც უპრეცედენტოდ ხანგრძლივი დროის მანძილზე გაგრძელდა. ადგილობრივ მოსახლეობას შეეზღუდა წვდომა სამედიცინო მომსახურებაზე, სოციალურ შემწეობასა და სხვა სერვისებზე, რომლებსაც იღებდნენ ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე. სწორედ ამიტომ, ზაფხულში აბიტურიენტების ნაწილმა ვერ მოახერხა აფხაზეთის რეგიონიდან საქართველოს



კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოსვლა და ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობის მიღება.

განსაკუთრებულ შემფოთებას და წუხილს იწვევს ახალგორის რაიონში შექმნილი მდგომარეობა, სადაც ერთადერთი ე.წ. „გადასასვლელი პუნქტი“ 2019 წლის 4 სექტემბერიდან დაკეტილი რჩება. აღნიშნულმა უკანონო ქმედებამ მთელი რეგიონი ჰუმანიტარულ კრიზისამდე მიიყვანა, რაც სამედიცინო მომსახურების, მედიკამენტების, საკვებისა და სხვა სასიცოცხლო მნიშვნელობის პროდუქტების უკმარისობაში გამოიხატება. პანდემიის დროს, საოკუპაციო ძალების მიერ ცხინვალის რეგიონში არსებულ აფთიაქებში რამდენჯერმე ჩატარდა რეიდი, რომლის შედეგად ამოღებულ იქნა საქართველოში წარმოებული მედიკამენტები. მსგავსი უკანონო პროცესები ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ ადგილობრივი მოსახლეობა ფაქტობრივად საოკუპაციო ძალის მძევლად არის აყვანილი. ხშირ შემთხვევებში, საოკუპაციო რეჟიმი აყოვნებს გადაუდებელი მკურნალობის საჭიროების მქონე პაციენტების საოკუპაციო ხაზზე გამოშვებას, რაც მინიმუმამდე ამცირებს მათი გამოჯანმრთელების შანსებს და მეტიც, რიგ შემთხვევებში ლეტალურ შედეგს იწვევს. 2019 წლის სექტემბერიდან, მსგავს უკანონო ქმედებებს არაერთი ადამიანის სიცოცხლე შეეწინა. ეს შემთხვევები ნათლად ადასტურებს, რომ საოკუპაციო ძალა მუდმივად ახდენს ჰუმანიტარული საკითხების პოლიტიზირებას და მშვიდობიან მოსახლეობას საკუთარი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად იყენებს.

გრძელდებოდა ადამიანთა უკანონო დაკავებების პრაქტიკა ე.წ. საზღვრის უკანონო გადაკვეთის გამო. 2020 წელს, ცხინვალის მიმართულებით დაკავებული იქნა 64, ხოლო აფხაზეთის რეგიონის მიმართულებით - 13 ადამიანი. აღსანიშნავია, რომ რუსეთის „ფსბ“-ის ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, ცხინვალის რეგიონიდან საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე გადმოსვლისას დაკავებულთა რაოდენობა რამდენჯერმე აღემატებოდა იმ პირთა რიცხვს, რომელთა დაკავებაც ცხინვალის რეგიონის მიმართულებით საოკუპაციო ხაზის გადაკვეთის ე.წ. ბრალდებით მოხდა. აღნიშნული თვალნათლივ ადასტურებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის დანარჩენ საქართველოში გადაადგილების მაღალ ინტერესს და საჭიროებას.

შემზარავი ფაქტი მოხდა 2020 წლის 11 ივლისს, როდესაც საოკუპაციო ძალებმა დაჭრეს და უკანონოდ დააკავეს სოფ. ქვემო ჭალას მკვიდრი ზაზა გახელაძე, რომელსაც 12,6 წლით პატიმრობა „მიესაჯა“. მასთან ერთად ოკუპირებული ცხინვალის რეგიონში ტყვეობაში ასევე რჩებიან გენადი ბესტაევი, რამაზ ბედელური და ლაშა ხეთერელი. შემამფოთებელია საოკუპაციო რეჟიმის მიერ გალის მაცხოვრებელი ირაკლი ბებუას უკანონო დაკავება, რომელიც კვლავ უკანონო პატიმრობაში რჩება.

მძიმე მდგომარეობა გრძელდებოდა ასევე მშობლიურ ენაზე განათლების მიღების კუთხით. 2019-2020 სასწავლო წელს გალის რაიონის სკოლებში 1-8 კლასის ჩათლით სწავლება მთლიანად რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. შესაბამისად, ქართული ენის შესწავლა დაიშვება



მხოლოდ მე-9 კლასიდან. ამ კლასებშიც მშობლიურ ქართულ ენასა და ლიტერატურას საკმაოდ მცირე დრო ეთმობა - 2 საათი (1 -ენა, 1- ლიტერატურა). კვლავ კატეგორიულად იკრძალება ქართული სახელმძღვანელოებით სწავლება. მშობლიურ ენაზე განათლების მიღება ასევე აკრძალულია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში.

მშობლიურ ენაზე განათლების მიღების შეზღუდვა ასევე გრძელდება ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში. ახალგორის რაიონის ქართული სკოლები (1 – 5 კლასები) გადაყვანილია რუსული სწავლების პროგრამაზე, ხოლო ქართული, როგორც უცხო ენა, შეზღუდულად ისწავლება მე-6 კლასიდან. ოკუპირებული აფხაზეთის გალის რაიონში გრძელდება ეთნიკური ქართველების „უცხო ქვეყნის მოქალაქეებად“ რეგისტრაციის პროცესი. მოსახლეობა იძულებულია აიღოს „ბინადრობის მოწმობა“, რომელიც მათ უუფლებო მდგომარეობაში აყენებს. დე ფაქტო ხელისუფლება გალის რაიონის მოსახლეობას კვლავ აიძულებს ქართული გვარების შეცვლას აფხაზურით, რითიც ცდილობს ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართული კვალისა და იდენტობის წაშლას.

#### **1.4. შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად უგზო-უკვლოდ დაკარგული ადამიანების ხვედრის გარკვევა**

საქართველოში 1990-იანი წლების შეიარაღებული მოქმედებებისა და 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად 2300-ზე მეტი ადამიანი უგზო-უკვლოდ დაკარგულად მიიჩნევა. მათი ბედისა და ადგილსამყოფელის დადგენა სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებაა. წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ეგიდით, ფუნქციონირებას განაგრძობს ქართულ-აფხაზური საკოორდინაციო მექანიზმი, რომელშიც საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას წარმოადგენს სახელმწიფო მინისტრის აპარატი; ასევე, სახელმწიფო მინისტრის აპარატი თავმჯდომარეობს შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად უგზო-უკვლოდ დაკარგული პირების მოძიებისა და გადმოსვენების უწყებათაშორის კომისიას, რომელიც 2019 წლის 24 ოქტომბერს შეიქმნა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აპარატი უზრუნველყოფს ნემტების მოძიებასთან/ამოცნობასთან დაკავშირებით სახელმწიფო სტრუქტურების მიერ განსახორციელებელი საქმიანობის კოორდინირებას, მათ შორის, ოჯახების დახმარებას ამოცნობილი ნემტების დაკრძალვის ორგანიზებასა და თანმდევი ხარჯების დაფარვის მიმართულებით.

პანდემიის მიუხედავად, უგზო-უკვლოდ დაკარგული პირების ბედისა და ადგილსამყოფელის დადგენასთან დაკავშირებული საქმიანობა 2020 წლის განმავლობაშიც აქტიურად გაგრძელდა. საანგარიშო პერიოდში იდენტიფიცირებულ იქნა და ოჯახებს გადაეცა 1992-1993 წლების აფხაზეთის რეგიონში შეიარაღებული მოქმედებების შედეგად და მის შემდგომ პერიოდში უგზო-უკვლოდ დაკარგული 13 პირის ნემტი. განხორციელდა ამოცნობილი პირების აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიიდან გადმოსვენება, მათი ოჯახის წევრების ინფორმირება და მათთან შეთანხმებით ნემტების გადაცემის, სამოქალაქო პანაშვიდის და სამხედრო პატივით დაკრძალვის ცერემონიალის დაგეგმვა, დაკრძალვასთან



დაკავშირებული ხარჯების დაფარვის კოორდინირება. ოჯახების სურვილის გათვალისწინებით და მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობით, ნემტები ხვადასხვა ლოკაციაზე, მათ შორის, საგვარეულო სასაფლაოებზე დაიკრძალა.

სახელმწიფო მინისტრის აპარატის თავმჯდომარეობით, 2020 წლის 25 თებერვალს შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად უგზო-უკვლოდ დაკარგული პირების მოძიებისა და გადმოსვენების უწყებათაშორისი კომისიის პირველი შეხვედრა გაიმართა. კომისიის მონაწილეებმა უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა ბედისა და ადგილსამყოფლის გარკვევის მიმართულებით განხორციელებული საქმიანობა, ძირითადი გამოწვევები და სამომავლო გეგმები განიხილეს.

უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა ხვედრის დადგენის პროცესის წარმატებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სამარხების მდებარეობისა და გაუჩინარების გარემოებებთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიებას. 2020 წელს გაგრძელდა სამარხებთან დაკავშირებული სარწმუნო ინფორმაციის შეგროვება, დაიგეგმა აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ექსპედიციების პროცესი, შეთანხმდა და განახლდა სამარხების სია. პანდემიის შედეგად გამოწვეული სირთულეების გათვალისწინებით, 13 სამარხის გახსნა და 20 ნემტის ექსპედიცია განხორციელდა.

მიუხედავად იმისა, რომ 1992-1993 წლების შეიარაღებული მოქმედებების შედეგად და მის შემდგომ პერიოდში უგზო-უკვლოდ დაკარგულთა უმრავლესობა უკვე დარეგისტრირებულია, კვლავ რჩება ოჯახების გარკვეული რაოდენობა, რომელთაც მათი ოჯახის წევრის გაუჩინარების შესახებ არ განუცხადებიათ. 2020 წელს, დაფიქსირდა 50-მდე ახალი მომართვა უგზო-უკვლოდ დაკარგული ოჯახის წევრის მოძიებასთან დაკავშირებით. აღნიშნული პირები ორმხრივი, ქართულ-აფხაზური საკოორდინაციო მექანიზმის ფარგლებში მოქმედ უგზო-უკვლოდ დაკარგულთა სიაში ჩაერთვებიან.

უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა ნემტების იდენტიფიცირების დაჩქარების გეგმის შესაბამისად, გაგრძელდა ბიოლოგიური ნიმუშების გამოკვლევა. 2020 წელს განხორციელდა 113 გენეტიკური საექსპერტო მომსახურების გაწევა, კერძოდ 1992-1993 წლების შეიარაღებული მოქმედებების შედეგად უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა ოჯახის წევრებისა და ბიოლოგიური ნათესავების ბიოლოგიური ნიმუშების გენეტიკური გამოკვლევა-პროფილირება.

იმართებოდა რეგულარული შეხვედრები უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა ოჯახებთან, პოტენციურ მოწმებთან, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის, სსიპ-ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს, სსიპ – ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის და სხვა პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.



2020 წლის 26 - 28 თებერვალს თბილისში ჩატარდა წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მიერ ორგანიზებული საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: "უზო-უკვლოდ დაკარგული პირების ამოცნობისათვის ძალისხმევის გაძლიერება და მათი ოჯახების საჭიროებები". გაიმართა კონფერენციისთვის მოსამზადებელი შეხვედრები უზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა ოჯახებთან და ოჯახური ასოციაციების წარმომადგენლებთან.

სახელმწიფო მინისტრის აპარატის მონაწილეობით გაიმართა ონლაინ ღონისძიება: „უზო-უკვლოდ დაკარგულ პირებზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 2474 (2019)-ის ოპერაციონალიზაცია - საერთაშორისო თანამშრომლობის გზები“. ღონისძიებაზე განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა საბრძოლო მოქმედებების შედეგად გაუჩინარებული ადამიანების ბედისა და ადგილსამყოფლის დადგენის საჭიროებაზე, განხილული იყო ამ მიმართულებით სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილება.

აღსანიშნავია, რომ 2019 წლის 9-12 დეკემბერს ჟენევაში წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის რიგით 33-ე საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა, რომელსაც საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების პრეზიდენტი თავმჯდომარეობდა. კონფერენცია, დამტკიცებული რეზოლუციის პროექტების შინაარსის მხედველობაში მიღებით, ნებაყოფლობითი ვალდებულებების (Pledges) აღების შესაძლებლობას ითვალისწინებდა, რომელიც მომდევნო 4 წლის მანძილზე უნდა შესრულდეს. წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის 33-ე საერთაშორისო კონფერენციაზე საქართველომ, საკოორდინაციო მექანიზმების ფარგლებში, შეიარაღებული კონფლიქტების შედეგად უზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა ბედისა და ადგილსამყოფლის გარკვევის ნებაყოფლობითი ვალდებულება აიღო. მომზადდა წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის 33-ე საერთაშორისო კონფერენციის ფარგლებში ნებაყოფლობით ასაღები ვალდებულებების (Pledges) ნიმუში, 2020 წლის 1 ივნისს დარეგისტრირდა შესაბამისი ნებაყოფლობითი ვალდებულება და გაიგზავნა შემდგომი განმარტებები.

სამწუხაროდ COVID-19 პანდემიით გამოწვეული საყოველთაო შეზღუდვების გამო, 2020 წელს ვერ გაიმართა წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის თავმჯდომარეობით მიმდინარე 1992-1993 წლების შეიარაღებული კონფლიქტის მოქმედებების და მის შემდგომ პერიოდში უზო-უკვლოდ დაკარგულ პირებთან დაკავშირებული ქართულ-აფხაზური საკოორდინაციო მექანიზმის და მექანიზმის ფარგლებში მოქმედი სამედიცინო-ანთროპოლოგიური ექსპერტიზის სამუშაო ჯგუფის შეხვედრები.

## 1.5. ჩართულობის სამოქმედო გეგმის იმპლემენტაცია

### 1.5.1. პანდემიის პერიოდში კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის დახმარება და სამედიცინო მომსახურებაზე წვდომა



ოკუპირებულ რეგიონებში მძიმე ჰუმანიტარული მდგომარეობისა და ხელოვნური იზოლაციის გათვალისწინებით, კოვიდ-19 პანდემიის დროს ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობა განსაკუთრებული გამოწვევების წინაშე დადგა. შესაბამისად, 2020 წელს საქართველოს მთავრობისთვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს და ამოცანას ადგილობრივი მოსახლეობის დახმარება და მათ ჯანმრთელობაზე ზრუნვა წარმოადგენდა.

კორონავირუსის გავრცელების პირველივე დღეებიდან, საქართველოს ხელისუფლებამ განაცხადა, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ადამიანებს ამ გამოწვევასთან მარტო არ დატოვებდა და მათი დახმარებისთვის სრული მზადყოფნა გამოთქვა. ამ განცხადებას მყისიერად მოჰყვა კონკრეტული ქმედებები, რაც ძირითადად ოთხ მიმართულებას მოიცავდა:

- ❖ ცნობიერების ამაღლების მიზნით, უმოკლეს ვადაში აფხაზურ და ოსურ ენებზე ითარგმნა და საერთაშორისო პარტნიორებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარებით გავრცელდა საინფორმაციო მასალა კოვიდ-ინფექციასთან გამკლავების მიზნით რეკომენდაციებისა და პრევენციული ზომების შესახებ, მათ შორის დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის მომზადებული პროტოკოლები და სახელმძღვანელოები; ასევე, ინფორმაცია ოფიციალურ ვებ-გვერდზე [www.StopCov.ge](http://www.StopCov.ge) ხელმისაწვდომი გახდა აფხაზურ და ოსურ ენებზე;
- ❖ გამოცდილების გაზიარების მიზნით, ადგილობრივი ექიმებისთვის რეგულარულ რეჟიმში მიმდინარეობდა ონლაინ-კონსულტაციის გაწევა და შესაბამისი რჩევების მიცემა ქართველი სპეციალისტების მიერ. საქართველოს ხელისუფლების მხარდაჭერით, აფხაზეთის რეგიონში რამდენჯერმე განხორციელდა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მისია, ადგილზე არსებული მდგომარეობის შეფასებისა და რეკომენდაციების შემუშავებისთვის;
- ❖ საქართველოს ხელისუფლებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ აფხაზეთის რეგიონს რეგულარულად მიეწოდებოდა სამედიცინო აღჭურვილობა, მედიკამენტები და ჰიგიენური საშუალებები (ჯამში 2 მილიონამდე ლარის ღირებულების);
- ❖ მიმდინარეობდა კორონავირუსით ინფიცირებული ადამიანების მკურნალობა საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე. პანდემიის გავრცელების დღიდან, ცენტრალური ხელისუფლების კონტროლირებად ტერიტორიაზე 2020 წელს სამკურნალოდ 256 კოვიდ-ინფიცირებული პაციენტი იქნა გადმოყვანილი როგორც აფხაზეთის, ისე ცხინვალის რეგიონიდან.

შესაბამისი სახელმწიფო უწყებების მიერ ერთობლივად მომზადდა ოკუპირებული რეგიონებიდან პაციენტების მართვის გეგმა, ხოლო ენგურის ხიდთან გაიხსნა საველე ჰოსპიტალი, სადაც განთავსებული ექიმები ოკუპირებული ტერიტორიიდან გადმოსულ



თითოეულ პაციენტს უზომავდნენ სიცხეს და ჩივილების შესაბამისად ხდებოდა მათი გადაყვანა სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებაში.

ინფიცირებული პაციენტების მკურნალობის მიზნით, რეკორდულ დროში აღიჭურვა და მუშაობა დაიწყო რუხის საავადმყოფომ, რომელიც აშენდა ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისთვის უფასო სამედიცინო მომსახურებაზე გამარტივებული წვდომის უზრუნველსაყოფად. კოვიდ-19 პანდემიის შედეგების შემსუბუქების მიზნით, საერთაშორისო პარტნიორების და კერძო ორგანიზაციების მხარდაჭერით, სახელმწიფო მინისტრის აპარატმა ჰუმანიტარული დახმარება გაუწია საოკუპაციო ხაზთან მდებარე კონფლიქტით დაზარალებულ 116-ვე სოფელში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ მოსახლეობას. კერძოდ, გაზაფხული-ზაფხულის პერიოდში ჰიგიენური საშუალებებისა და საკვები პროდუქტების კალათები გადაეცა 857 ოჯახს, მათ შორის შშმ პირებს და მრავალშვილიან ოჯახებს, ხოლო შემოდგომა-ზამთრის პერიოდში - 2,496 ოჯახს (ობოლ და შშმ ბავშვებს, მარტოხელა მოხუცებს და სოციალურად დაუცველ მრავალშვილიან ოჯახებს).

მნიშვნელოვანია ასევე აღინიშნოს, რომ ბინის ქირის დაფარვის მიზნით, თავისუფალ გადაადგილებაზე დაწესებული შეზღუდვების გამო საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე დარჩენილ ყველა 247 სტუდენტს გამოეყო დახმარება 150 ლარის ფარგლებში, რისთვისაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შეიქმნა სპეციალური პროგრამა, ხოლო სტუდენტებს თბილისში, ზუგდიდში და ქუთაისში სახელმწიფო მინისტრის აპარატმა გადასცა სოციალური დახმარება, მათ შორის საკვები პროდუქტებისა და ჰიგიენური საშუალებების კალათები.

საქართველოს მთავრობა იყენებს ყველა არსებულ ფორმალურ და არაფორმალურ შესაძლო საკომუნიკაციო არხს, მათ შორის სამედიცინო სფეროს წარმომადგენლებთან, იმისთვის, რომ რეგულარულად მიიღოს ინფორმაცია საოკუპაციო ხაზის მიღმა არსებული საჭიროებებისა და გამოწვევების შესახებ და სათანადო რეაგირება მოახდინოს.

სამწუხაროდ, ახალგორის მიმართულებით ე.წ. „გადასასვლელი პუნქტის“ დახურვის შედეგად, ამ დრომდე სრულიად ჩაკეტილი და ხელოვნურად იზოლირებული რჩება ცხინვალის რეგიონი. ხელისუფლებამ იმთავითვე გამოთქვა ადგილობრივი მოსახლეობის დახმარების მზადყოფნა როგორც საჯაროდ, ისე საერთაშორისო პარტნიორებისა და ცხელი ხაზის მეშვეობით, თუმცა ამ დრომდე საოკუპაციო რეჟიმი ამის შესაძლებლობას არ იძლევა. აღნიშნულიდან გამომდინარე, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს - ადგილზე მოქმედ ერთადერთ საერთაშორისო ორგანიზაციას, ეთხოვა მოსახლეობის ჰუმანიტარული და სამედიცინო დახმარების გაზრდა. უწყვეტ რეჟიმში გაგრძელდება ძალისხმევა, რათა ადგილობრივ მოსახლეობას მიეცეს თავისუფალი გადაადგილების შესაძლებლობა და კვალიფიციურ სამედიცინო მომსახურებაზე წვდომა.





პანდემიისა და დაწესებული შეზღუდვების მიუხედავად, მთავრობას არ შეუჩერებია „სახელმწიფო რეფერალური პროგრამის“ ეფექტური ფუნქციონირება და მის ფარგლებში სხვადასხვა სამედიცინო მომსახურების გაწევა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში მცხოვრები ადამიანებისთვის. ადგილობრივ მცხოვრებლებს, რომლებიც კვეთდნენ საოკუპაციო ხაზს, შესაძლებლობა ჰქონდათ მიეღოთ სრულფასოვანი, საჭიროებაზე მორგებული უფასო სამედიცინო მომსახურება საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე არსებულ სამედიცინო დაწესებულებებში. 2020 წელს რეფერალური პროგრამის მომსახურებით სარგებლობის მიზნით, სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ შუამდგომლობა გაეწია ოკუპირებული რეგიონების 892 მოსახლეს (780 აფხაზეთის რეგიონიდან და 112 ცხინვალის რეგიონიდან). მეორე მხრივ, საქართველოს მთავრობა განაგრძობდა მუშაობას სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებისთვის ოკუპირებული ტერიტორიების შიგნით და დახმარებას უწევდა ადგილობრივ სამედიცინო პუნქტებს.

საკოორდინაციო მექანიზმის საშუალებით, რომელიც აგრძელებდა ეფექტურად მუშაობას ჩართულობის სამოქმედო გეგმის ფარგლებში, საქართველოს მთავრობა განაგრძობდა აფხაზეთის რეგიონისთვის საჭირო ვაქცინების მიწოდებას. 2020 წელს აფხაზეთის რეგიონს გადაეცა იმუნიზაციის და გრიპის ვაქცინები, დიაბეტის წამლები, ტუბერკულოზის საწინააღმდეგო ანტიბიოტიკები და აივ/შიდსის საწინააღმდეგო მედიკამენტები, რომელთა ღირებულებამ 1,3 მილიონზე მეტი ლარი შეადგინა.

2020 წელს საქართველოს მთავრობის მიერ ჯანდაცვის კომპონენტზე დახარჯულმა თანხამ შეადგინა დაახლოებით 5 მილიონი ლარი.

### 1.5.2. ხარისხიან განათლებაზე წვდომა

სამშვიდობო ინიციატივით „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ გათვალისწინებული და ამოქმედებული სკოლისშემდგომი მოსამზადებელი პროგრამის გარდა, საქართველოს მთავრობა განაგრძობდა ე.წ. „1+4“ პროგრამის განხორციელებას, რომელიც საშუალებას აძლევს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს, მათ შორის აფხაზებსა და ოსებს, გამარტივებული წესით ჩაირიცხონ საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მშობლიურ ენაზე მხოლოდ ერთი გამოცდის ჩაბარების გზით, რასაც თან ერთვის ქართულ ენაზე მოსამზადებელი ერთწლიანი კურსი, ხოლო შემდეგ ოთხწლიანი საბაკალავრო პროგრამა სტუდენტის მიერ შერჩეულ ფაკულტეტზე. „1+4“ პროგრამის ფარგლებში სწავლა ფინანსდება სახელმწიფოს მიერ. 2020 წელს, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებიდან „1+4“ პროგრამით ოთხი ახალგაზრდა ჩაირიცხა უმაღლეს სასწავლებლებში.

აღსანიშნავია, რომ 2020 წელს ოკუპირებული ტერიტორიებიდან საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში, წინა წლებთან შედარებით, კიდევ უფრო მეტი სტუდენტი ჩაირიცხა. სამშვიდობო ინიციატივით გათვალისწინებული მოსამზადებელი პროგრამის და „1+4“ პროგრამის გარდა, 214 აბიტურიენტი დარეგისტრირდა ერთიან ეროვნულ გამოცდებში



მონაწილეობის მისაღებად. იმის გათვალისწინებით, რომ საოკუპაციო ხაზზე დაწესებული შეზღუდვების გამო, აფხაზეთის რეგიონიდან აბიტურიენტებმა ფიზიკურად ვერ შეძლეს საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოსვლა და გამოცდებში მონაწილეობა, 2019 წლის მსგავსად, ყველა მათგანი უგამოცდოდ იქნა ჩარიცხული უმაღლეს სასწავლებელში. ჯამში, ოკუპირებული რეგიონებიდან საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ყველა საშეღავათო პროგრამით ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა წინა წლებთან შედარებით გასამმაგდა.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ახალგაზრდების საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს მთავრობა ინარჩუნებს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების აღიარების სტატუს-ნეიტრალური პროცედურას, რომელიც გულისხმობს უმაღლესი განათლების აღიარებას საქართველოს მოქალაქეობის აღების, საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოსვლისა და მოწმეების წარმოდგენის საჭიროების გარეშე, მათ შორის საჭიროებისამებრ, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების ჩართულობით.

### 1.5.3. სოფლის მეურნეობა

ადგილზე არსებულ გამოწვევებთან გამკლავების და მავნებლებთან ბრძოლის მიზნით, საკოორდინაციო მექანიზმის საშუალებით, აფხაზეთის რეგიონს რეგულარულად მიეწოდება მცენარეთა და ცხოველთა დაცვის სხვადასხვა საშუალებები. 2020 წელს, აფხაზეთის რეგიონს მიეწოდა აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო საშუალებები და ვეტერინარული ვაქცინები, რომელთა ღირებულებამ ჯამში 600,000 ლარზე მეტი შეადგინა.

### 1.5.4. დიალოგი და ნდობის აღდგენა

საქართველოს მთავრობა აქტიურად აგრძელებს დაშორიშორებულ საზოგადოებებს შორის ეფექტიანი დიალოგის, ნდობის აღდგენის პროექტების განხორციელების და სახალხო დიპლომატიის მხარდაჭერას. მიუხედავად იმისა, რომ პანდემიის პერიოდში შეფერხდა ნდობის აღდგენის პროექტების განხორციელება საქართველოს ფარგლებს გარეთ, გააქტიურდა არაფორმალური კომუნიკაცია და თანამშრომლობა.

არაფორმალური დიალოგის ერთ-ერთი წარმატებული მაგალითია, რომ 2020 წელს, სახელმწიფოს ძალისხმევით, ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები 1000-ზე მეტი სტუდენტი და მოსწავლე, ასევე მათი ოჯახის წევრები, საოკუპაციო ხაზზე დაწესებული მკაცრი შეზღუდვების მიუხედავად გადმოვიდნენ საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე სწავლის გაგრძელების მიზნით. ასევე, საერთაშორისო პარტნიორების (UNHCR) ჩართულობით, მიღებული იქნა ზომები აფხაზეთის რეგიონში მცხოვრები პენსიონერების



საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე პენსიაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.

ნდობის აღდგენის კონტექსტში უმნიშვნელოვანესი იყო პანდემიასთან ბრძოლის საკითხზე თანამშრომლობა ქართულ და აფხაზურ საზოგადოებებს შორის, მათ შორის ქართველი სპეციალისტების მიერ აფხაზი ექიმებისთვის გაწეული ონლაინ-კონსულტაციები.

სახელმწიფო მინისტრის აპარატი აქტიურად უჭერს მხარს ოკუპირებულ ტერიტორიებზე საერთაშორისო პარტნიორებისა და ორგანიზაციების ჩართულობას და მათ მიერ ჰუმანიტარული დახმარებისა და ნდობის აღდგენის პროექტების განხორციელებას. ყველა საერთაშორისო პარტნიორის მიმართ, როგორც სხვადასხვა ფორმატებში, ისე ორმხრივი შეხვედრების დროს, მთავარი გზავნილი არის ნდობის აღდგენის კუთხით ძალისხმევის გაორმაგება და განხორციელებულ პროექტებში ქართულ-აფხაზური/ქართულ-ოსური შეხვედრების კომპონენტის გაზრდა, რაც გაყოფილი ადამიანების დაახლოების და ხელოვნურად შენარჩუნებული გაუცხოების დაძლევის საფუძველია.

ამ მიზნით, სახელმწიფო მინისტრის აპარატი აწარმოებს რეგულარულ დიალოგს და შეხვედრებს საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან. 2020 წლის 4 ნოემბერს სახელმწიფო მინისტრმა შეხვედრა გამართა აფხაზეთის რეგიონში Abkhazia Strategic Partnership (ASP) ფარგლებში მოქმედ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, სადაც განიხილებოდა აღნიშნული ორგანიზაციების საქმიანობა, მიმდინარე პროექტები, არსებული გამოწვევები და სამომავლო პერსპექტივები.

2020 წელს სახელმწიფო მინისტრის აპარატმა თანხმობა გასცა ოკუპირებული რეგიონების მიმართულებით საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების 36 ახალ პროექტზე. ნდობის აღდგენის პროექტები მოიცავს სხვადასხვა პროფესიული წრეების წარმომადგენლებს - ექიმებს, მასწავლებლებს, არაერთი დარგის ექსპერტებს, ქალებს, ახალგაზრდებს, უფლებადამცველებს და ა.შ. მათ შესაძლებლობა ეძლევათ, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ, ერთობლივად მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა სასწავლო ვიზიტებში, შეხვედრებში, ტრენინგებსა თუ სემინარებში, ან იმუშაონ საერთო პროდუქტის შესაქმნელად. აღნიშნული ხელს უწყობს ადამიანთა შორის კონტაქტების დამყარებას, კონფლიქტის შედეგად წარმოშობილი, თუ ხელოვნურად, პროპაგანდის შედეგად გაღვივებული სტერეოტიპების და გაუცხოების დაძლევას.

ამასთან, სახელმწიფო მინისტრის აპარატი იყენებს ყველა შესაძლებლობას აფხაზურ და ოსურ საზოგადოებებთან უშუალო კომუნიკაციის განხორციელებისთვის და აქტიურად მუშაობს დიალოგისა და ნდობის აღდგენის ახალი შესაძლებლობების შექმნისათვის. სახელმწიფო მინისტრის აპარატის თანამშრომლები აგრძელებენ მონაწილეობას საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების სხვადასხვა პროექტებში, რომელთა მიზანს წარმოადგენს კონფლიქტით დაშორიშორებულ საზოგადოებებს შორის ნდობის აღდგენა და თემატური



დიალოგი. 2018-2020 წლების განმავლობაში სახელმწიფო მინისტრის აპარატის წარმომადგენლებმა უშუალოდ მონაწილეობა მიიღეს ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ გამართულ 40-მდე ნდობის აღდგენის შეხვედრაში ჯანდაცვის, განათლების, სოფლის მეურნეობის, ვაჭრობის, უგზო-უკვლოდ დაკარგული პირების მოძიების, გარემოს დაცვის, არქივების და სხვა თემებზე.

სახელმწიფო მინისტრის აპარატთან მჭიდრო თანამშრომლობით და საკოორდინაციო მექანიზმის ჩართულობით, 2020 წელს ევროპის საბჭომ განახორციელა შემდეგი ორმხრივი ნდობის აღდგენის პროექტები:

- ქართველი და აფხაზი არქივის სპეციალისტების შეხვედრა ვენეციაში ერთობლივი პუბლიკაციის გამოცემის მიზნით; სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივების განსახილველად, შეხვედრაში ასევე მონაწილეობდნენ თეატრის სპეციალისტები. მოგვიანებით ქართველ და აფხაზ არქივის სპეციალისტებს შორის ასევე გაიმართა ორი დისტანციური შეხვედრა;
- ქართველი და აფხაზი ექიმების შეხვედრა სტამბოლში ნარკომანიის პრევენციის თემაზე შემდგომი თანამშრომლობის განვითარების მიზნით;
- ქართველი და აფხაზი ახალგაზრდების დისტანციური მონაწილეობა ევროსაბჭოს ახალგაზრდობის სამშვიდობო კვირეულში;
- ქართველი და აფხაზი ფსიქოლოგებისა და ფსიქიატრების დისტანციური შეხვედრა ქალთა მიმართ ძალადობის თემებზე.

სამწუხაროდ, პანდემიით გამოწვეულმა შეზღუდვებმა მნიშვნელოვნად შეაფერხა ნდობის აღდგენისკენ მიმართული პროექტების განხორციელება, რის გამოც არაერთი ღონისძიება თუ შეხვედრა გადაიდო.

## 1.6. საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირება

საოკუპაციო ძალის უკანონო ქმედებები, უპირველეს ყოვლისა გამოყოფი ხაზის გასწვრივ მავთულხლართებისა და სხვა ხელოვნური ბარიერების აღმართვის პროცესი, სავალალოდ აისახება არამხოლოდ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობაზე, არამედ საოკუპაციო ხაზების მიმდებარე სოფლების ჰუმანიტარულ მდგომარეობაზე. შესაბამისად, მთავრობისთვის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად რჩება საოკუპაციო ხაზის სიახლოვეს მცხოვრებ მოსახლეობაზე ზრუნვა და მათ საჭიროებებზე რეაგირება. სწორედ ამ მიზანს ემსახურება 2013 წელს დაარსებული გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისია, რომელსაც თანათავმჯდომარეობს სახელმწიფო მინისტრი. კომისიის მუშაობის შედეგად:



- ❖ 2020 წელს გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში ხორციელდებოდა 182 პროექტი, რომელთა საერთო ღირებულება 71 მლნ ლარს აღემატება. კერძოდ:
- ❖ 2020 წელს გორის, კასპის, ქარელის, ხაშურის, ზუგდიდისა და ონის მუნიციპალიტეტებში, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაფინანსდა დაახლოებით 11,44 მლნ ლარის ღირებულების 21 პროექტი. პროექტების უმრავლესობა, კერძოდ 19 პროექტი დაფინანსდა საავტომობილო გზების რეაბილიტაციის მიზნით, ხოლო დანარჩენი ორი პროექტი დაფინანსდა წყალმომარაგების სისტემის და ავტობუსების სადგომის მოწესრიგების მიზნით. აღსანიშნავია, რომ 2020 დაიწყო გრემისხევის თემში მისასვლელი 11 კმ-იანი გზის რეაბილიტაციის დაახლოებით 7 მლნ ლარის ღირებულების პროექტი. 2020 წლის ბოლოს დასრულდა დაახლოებით 67,000 ლარის ღირებულების საპროექტო სამუშაოები, ხოლო უშაულოდ გზის საფარის მოწყობის სამუშაოები განხორციელდება 2021 წელს.
- ❖ 2020 წელს გაგრძელდა გორის, კასპის და ქარელის მუნიციპალიტეტების 21 სოფელში ჭაბურღილებისა და წყალმომარაგების სისტემის მოწყობის პროექტები, რომელთა საერთო ღირებულება დაახლოებით 16.4 მლნ ლარს შეადგენს. ასევე საჩხერის მუნიციპალიტეტში ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მდებარე სოფლებში გაგრძელდა წყალმომარაგების სისტემების მოწყობა. პროექტი 2019 წელს დაიწყო და 2020 წელს დასრულდა და ითვალისწინებს პერევის, ჯრიას, დარყას, ჭალასა და სპეთის წყალმომარაგების სისტემის, კერძოდ, წყალმომარაგებისთვის საჭირო სათავის, წყალსადენების, რეზერვუარების, წყლის გაუვნებელყოფის სადგურების და გამანაწილებელი ქსელების მოწყობას. სოფლებში გათვალისწინებულია მრიცხველების მონტაჟიც. პროექტის დასრულების შემდეგ 3,400 მოსახლე ისარგებლებს გამართული წყალმომარაგების სისტემებით. პროექტის ღირებულება დაახლოებით 12 მლნ ლარია.
- ❖ 2020 წელს დაფინანსდა გორის, ქარელის, ხაშურის, საჩხერის, დუშეთის, ონის წალენჯიხისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტების გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში სკოლის შენობების რეაბილიტაციის 30 პროექტი, რომელთა საერთო ღირებულება დაახლოებით 2,02 მლნ ლარს შეადგენს. მიმდინარე წელს ასევე დაიწყო მესტიის მუნიციპალიტეტში, ჭუბერის თემში 150 მოსწავლეზე გათვლილი საჯარო სკოლის 2,15 მლნ ლარის ღირებულების პროექტირება/მშენებლობა. აღნიშნული პროექტების ღირებულება დაახლოებით 14,5 მლნ ლარს შეადგენს.
- ❖ 2020 წელს გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაფინანსდა მცირე ბიუჯეტის 129 ინფრასტრუქტურული პროექტი (გზების, ხიდ-ბოგირების, გარე განათების, წყლის სისტემების, სანიაღვრე არხების, სასაფლაოების, სკვერების, საბავშვო ბაღების,



წისქვილების და სხვა ინფრასტრუქტურის მოწყობა-რეაბილიტაციის), რომელთა განხორციელების მიზნით გამოყოფილი თანხა დაახლოებით 1,6 მლნ ლარს შეადგენს.

- ❖ გაგრძელდა გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში გაზიფიცირების სამუშაოები, გაზის ქსელზე დაერთებისა და აბონენტად რეგისტრირების პროცესი. დღეის მდგომარეობით გაზიფიცირებული სოფლების რაოდენობამ შეადგინა 74 სოფელი. ამასთან, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფლებში - რუხი, რიყე, შამგონა, ტყაია, განმუხური, ნაწულუკუ და ახალბასთუმანი განხორციელდა იმ ოჯახების ბუნებრივი გაზის გამანაწილებელ ქსელზე მიერთების დაფინანსება (400 ლარი) რომლებიც არ იყვნენ დარეგისტრირებულნი ბუნებრივი გაზის აბონენტებად. იმ ოჯახებს კი, რომლებიც უკვე იყვნენ დარეგისტრირებული ბუნებრივი გაზის აბონენტებად და გადახდილი/გადასახდელი ჰქონდათ მიერთების საფასური, ფაქტობრივად თანხა დაუბრუნდათ შესაბამისი ოდენობის დეპოზიტის სახით (არაუმეტეს 400 ლარისა).
- ❖ ასევე გრძელდებოდა გამყოფ ხაზთან მცხოვრები ახალგაზრდა პირების განათლების მხარდაჭერა. გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების სწავლის დაფინანსების პროგრამის ფარგლებში, 2019-2020 სასწავლო წლის საფასური დაუფინანსდა გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში რეგისტრირებულ 2,408 სტუდენტს. სოციალური პროგრამის ფარგლებში დამატებით დაფინანსდა 225 სტუდენტი. გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისიის გადაწყვეტილებით, სტუდენტები დაფინანსდებიან 2021 წელსაც.
- ❖ ზამთრის პერიოდში გათბობის უზრუნველყოფის მიზნით, ფინანსური დახმარება გაეწია თითოეულ ოჯახს გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში. შედეგად, 200 ლარიანი ვაუჩერი 2020 წელს მიიღო 13,859 ოჯახმა. იმ ოჯახებს, რომლებიც დარეგისტრირებულნი არიან ბუნებრივი აირის აბონენტებად, აბონენტზე დაერიცხათ 200 ლარი, ხოლო იმ ოჯახებს, რომლებიც არ არიან დარეგისტრირებულნი ბუნებრივი აირის აბონენტებად, გადაეცათ 200 ლარი. გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისიის გადაწყვეტილებით, დაზარალებული ოჯახების ფინანსური დახმარება გაგრძელდება 2021 წელსაც.
- ❖ 2020 წლის 1 იანვრიდან, საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, სისტემური და სპორადული რეგისტრაციისთვის კანონით დადგენილი შეღავათები და მოქალაქის ინტერესების დაცვაზე ორიენტირებული მთელი რიგი პროცედურები აღარ არის დროებითი და კანონის მუდმივმოქმედ ნორმებად გარდაიქმნა. კიდევ უფრო გამარტივდა მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარებისა და რეგისტრაციის პროცესი. მიწის რეგისტრაციის რეფორმა სხვადასხვა უწყებებთან კოორდინაციის გზით მიმდინარეობს. რეფორმის ფარგლებში, გამყოფი ხაზის მოსაზღვრე სოფლებში



2020 წელს განხორციელდა 10,200-ზე მეტი, ჯამში კი 24,200-ზე მეტი მიწის ნაკვეთის რეგისტრაცია.

- ❖ 2020 წელს მაღალმთიანი დასახლების სტატუსი დამატებით მიენიჭა ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე 21 სოფელს და ჯამში ასეთი სოფლების რიცხვმა შეადგინა 80 სოფელი. შედეგად, სოფლის მოსახლეობა სარგებლობს დამატებითი შეღავათებით.

## 1.7. ქალების ჩართულობა სამშვიდობო პროცესში

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს ქალთა როლის გაძლიერებას სამშვიდობო პროცესში, აგრძელებს ნდობის მშენებლობასა და შერიგების მიმართულებით მათი მონაწილეობის გაზრდის ხელშეწყობას და აქტიურად არის ჩართული გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების პროცესში.

გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ განხორციელებისათვის 2018-2020 წლების ეროვნული სამთავრობო გეგმის ფარგლებში, 2020 წლის 31 ივლისს და 29 ოქტომბერს გაიმართა დისტანციური საინფორმაციო შეხვედრები ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციებისა და კონფლიქტით დაზარალებული თემის წარმომადგენლებთან ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის შეხვედრების (IPRM) შესახებ. შეხვედრის მონაწილეებმა იმსჯელეს ოკუპირებულ რეგიონებსა და საოკუპაციო ხაზებთან სიახლოვეს მდებარე სოფლებში არსებულ მდგომარეობაზე, ე.წ. გადასასვლელი პუნქტების ჩაკეტვის გამო გალისა და ახალგორის რაიონებში შექმნილ ჰუმანიტარულ ვითარებაზე, პანდემიასთან დაკავშირებულ გამოწვევებზე და ადგილობრივი მოსახლეობის, მათ შორის კონფლიქტით დაზარალებული ქალების კონკრეტულ საჭიროებებზე.

სახელმწიფო მინისტრის აპარატი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ქალების უშუალო მონაწილეობას ნდობის აღდგენის პროექტებში. 2020 წელს დაწყებული/განხორციელებული 36 პროექტიდან, რომელზეც სახელმწიფო მინისტრის აპარატმა თანხმობა გასცა, 4 პროექტი (11%) მოიცავდა ქალთა საკითხებს ან წარდგენილი იყო ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ.

2020 წლის განმავლობაში, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან თანამშრომლობით, გაიმართა სამი საკონსულტაციო შეხვედრა გამყოფ ხაზთან მცხოვრებ კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალებთან სოფელ ორსანტიაში, მეჯვრისხევში და ზარდიაანთკარში (ჯამში 40 ქალი). საკონსულტაციო შეხვედრების მიზანია ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის,



სექსუალური შევიწროების, ტრეფიკინგის საკითხებზე, ასევე სახელმწიფო სერვისების შესახებ ინფორმაციის გაზიარება.

გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ განხორციელებისათვის, 2018-2020 წლების ეროვნული სამთავრობო გეგმის ფარგლებში, ფინანსთა სამინისტროს აკადემიასთან თანამშრომლობით, გამყოფ ხაზთან მცხოვრები კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალების ეკონომიკური გაძლიერების მიზნით, დისტანციურ რეჟიმში განხორციელდა პროექტი „სასწავლო კურსი - როგორ დავიწყოთ ბიზნესი“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 15-მა ქალმა გორის, კასპის, ხაშურის და ქარელის მუნიციპალიტეტებიდან.

2020 წლის განმავლობაში რეგულარულად იმართებოდა სახელმწიფო მინისტრის და აპარატის თანამშრომლების შეხვედრები ქალთა საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან და კონფლიქტით დაზარალებულ ქალებთან.

## 2. სამოქალაქო თანასწორობა და ინტეგრაცია

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი კოორდინირებას უწევს სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებას, განხორციელებას და ანგარიშგებას. ზემოაღნიშნული პოლიტიკის მიზანია ეთნიკური უმცირესობების მხარდაჭერა, საზოგადოებაში მათი სრულფასოვანი ინტეგრაციის უზრუნველყოფა, კულტურული მრავალფეროვნების ხელშეწყობა და ტოლერანტული გარემოს განმტკიცება.

სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკის ძირითად მექანიზმს წარმოადგენს „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია და 2015-2020 წწ. სამოქმედო გეგმა“, რომელიც ეყრდნობა თანასწორობის პრინციპს და მიდგომას „*მეტი მრავალფეროვნება, მეტი ინტეგრაცია*“. სახელმწიფო სტრატეგია მიმართულია ერთი მხრივ, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი თითოეული მოქალაქის თანასწორი, სრულფასოვანი და ღირსეული მონაწილეობის გაუმჯობესებისკენ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში; მეორე მხრივ კი, ეთნიკურ უმცირესობათა კულტურული იდენტობის დაცვისა და ტოლერანტული გარემოს გაძლიერებისკენ.

მიმდინარე წელს გაგრძელდა სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის პროცესი.

მუშაობა წარიმართა სტრატეგიით განსაზღვრული ოთხი პრიორიტეტული მიზნის ფარგლებში:

- ❖ თანაბარი და სრულფასოვანი მონაწილეობა სამოქალაქო და პოლიტიკურ ცხოვრებაში;





- ❖ თანაბარი სოციალური და ეკონომიკური პირობებისა და შესაძლებლობების შექმნა;
- ❖ ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და სახელმწიფო ენის ცოდნის გაუმჯობესება;
- ❖ ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის შენარჩუნება და ტოლერანტული გარემოს უზრუნველყოფა.

2020 წელს, მიმდინარე სტრატეგიას ვადა ეწურება. შესაბამისად, სახელმწიფო მინისტრის აპარატმა დამოუკიდებელ ექსპერტებთან თანამშრომლობით მოამზადა მოქმედი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასება, რაც საფუძვლად დაედო ახალ სტრატეგიულ დოკუმენტს. სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის (2021-2030 წწ.) ახალ დოკუმენტზე მუშაობა წარმართა სახელმწიფო მინისტრის აპარატის ხელმძღვანელობით, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციასთან თანამშრომლობით და დარგობრივი სახელმწიფო უწყებების ჩართულობით, სამოქალაქო სექტორის, სახალხო დამცველის აპარატისა და მასთან არსებული ეთნიკური უმცირესობების საბჭოს, დაინტერესებული პირების აქტიური მონაწილეობით.

წლის განმავლობაში სახელმწიფო მინისტრის აპარატის კოორდინირებით საქმიანობა განაგრძო სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესის ეფექტიანად წარმართვის მიზნით შექმნილმა სამთავრობო კომისიამ. გაიმართა კომისიის გასვლითი სხდომები, სამუშაო შეხვედრები, თემატური დისკუსიები და კონსულტაციები, შემუშავდა წინადადებები და რეკომენდაციები, რომელიც გათვალისწინებულია ახალ სტრატეგიულ დოკუმენტში.

ამავდროულად, გლობალური პანდემიისა და ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური სიტუაციიდან გამომდინარე, ოპერატიულ რეჟიმში დაიგეგმა და განხორციელდა პროექტები და ღონისძიებები, რამაც ხელი შეუწყო ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ინფორმირებასა და ცნობიერების ამაღლებას კორონავირუსის პრევენციასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ასევე, მოქალაქეთა სოციალური მდგომარეობის შემსუბუქების მიზნით განხორციელდა სოციალურ-ეკონომიკური დახმარების კამპანიები.

## 2.1 ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მხარდაჭერა COVID 19 პანდემიის პერიოდში

საქართველოს მთავრობამ COVID 19 პანდემიის გამოცხადების პირველივე დღეებიდან იმოქმედა ადეკვატურად, რაც ერთი მხრივ, მოქალაქეთა ჯანმრთელობაზე ზრუნვას, მეორე მხრივ კი, პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური სირთულეების დაძლევას ისახავს მიზნად. სპეციალურად შექმნილი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში, რომლის საქმიანობაშიც აქტიურად იყო ჩართული სახელმწიფო მინისტრის აპარატის ხელმძღვანელობა, უწყვეტ რეჟიმში განიხილებოდა ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური



სიტუაცია და მასთან დაკავშირებული გამოწვევების დაძლევის გზები. განსაკუთრებული განხილვის საგანი იყო ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებული რეგიონების სპეციფიკური საჭიროებები, სადაც ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად განისაზღვრა ინფორმაციაზე დროული და ეფექტიანი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

საქართველოს მთავრობამ უზრუნველყო ყველა შესაძლო პრევენციული მექანიზმის ამოქმედება. კერძოდ:

- ❖ ამოქმედდა სამთავრობო საინფორმაციო ვებ-გვერდი StopCov.ge ექვს ენაზე [ქართული, აფხაზური, ოსური, სომხური აზერბაიჯანული, ინგლისური], სადაც მუდმივად განახლებად რეჟიმში მიმდინარეობდა ინფორმაციის განთავსება კორონავირუსთან დაკავშირებული ყველა სიახლის შესახებ;
- ❖ ამოქმედდა სამთავრობო საინფორმაციო სპეციალური ცხელი ხაზი 144, რომლის დახმარებითაც მოქალაქეებს, მათ შორის სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე აქვთ შესაძლებლობა მიიღონ სათანადო კონსულტაცია;
- ❖ სახელმწიფო მინისტრის აპარატმა კორონავირუსის გავრცელების პირველივე დღეებიდან ოპერატიულად დაიწყო ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მოსახლეობის ინფორმირება. 3 მარტიდან წარიმართა უპრეცედენტოდ აქტიური და ინტენსიური საინფორმაციო/ცნობიერების ამაღლების კამპანია COVID 19-ის გავრცელების პრევენციის ზომების, დაწესებული რეგულაციებისა და შეზღუდვების, შეღავათებისა და კომპენსაციების შესახებ;
- ❖ მომზადდა და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მშობლიურ ენებზე ითარგმნა საინფორმაციო მასალები კორონავირუსის პრევენციასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხზე. მათ შორის: ჰიგიენის დაცვის წესები, კარანტინის წესები, ანტიკრიზისული გეგმა, კოვიდ პანდემიის მართვა და სხვა აქტუალური საკითხები. ნახევარ მილიონზე მეტი საინფორმაციო მასალა [ბროშურები და პოსტერები] ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენელთა აქტიური მონაწილეობით, რამდენიმე ეტაპად და კარდაკარ პრინციპით გავრცელდა ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთისა და კახეთის რეგიონებში;
- ❖ მომზადდა არაქართულენოვანი გაზეთების - აზერბაიჯანულენოვანი „გურჯისტანისა“ და სომხურენოვანი „ვრასტანის“ (ტირაჟი 4500) სპეციალური დამატებითი რედაქცია (ტირაჟი 6000), სადაც განთავსდა სრული ინფორმაცია კორონავირუსის პრევენციასთან დაკავშირებულ ყველა აქტუალურ საკითხზე;
- ❖ სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე უზრუნველყოფილი იყო საინფორმაციო ვიდეო-რგოლების თარგმნა და რეგიონული ტელევიზიების ეთერებში განთავსება;



- ❖ ეტაპობრივად, აქტუალურ საკითხთან დაკავშირებით მომზადდა ორენოვანი (ქართულ-აზერბაიჯანული და ქართულ-სომხური) მოკლე ტექსტური შეტყობინებები, რომლებიც ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში განთავსებული ანძების მეშვეობით გაეგზავნა მოზილური ნომრების აბონენტებს.

ინფორმირების კამპანიასთან ერთად ყურადღება დაეთმო მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შემსუბუქების მიზნით მათთვის საკვები პროდუქტებისა და ჰიგიენური საშუალებების გადაცემას.

**პანდემიის პირველი ტალღის** დაწყებისთანავე, გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მხარდაჭერით საქართველოს მასშტაბით მცხოვრებ ბოშათა ოჯახებსა და ამავედროულად, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ სოციალურად დაუცველ მრავალშვილიან ოჯახებს გადაეცათ საკვები პროდუქტებისა და ჰიგიენური საშუალებების პაკეტი [605]. აქედან, ქვემო ქართლის რეგიონში - 102 პაკეტი; სამცხე-ჯავახეთის რეგიონში - 50 პაკეტი; კახეთის რეგიონში - 73 პაკეტი და ბოშათა ოჯახებისთვის მთელი ქვეყნის მასშტაბით - 380 პაკეტი.

**პანდემიის მეორე ტალღის** საპასუხოდ, სახელმწიფო მინისტრის აპარატმა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებული რეგიონების მოსახლეობის მხარდაჭერის მიზნით განაგრძო საინფორმაციო და სოციალური დახმარების კამპანიების აქტიურ რეჟიმში განხორციელება. საინფორმაციო კამპანია განხორციელდა სამი მიმართულებით:

- ❖ მომზადდა და სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე ითარგმნა ანტიკრიზისული გეგმა და კორონავირუსის პრევენციასთან დაკავშირებით 100 000-მდე ბროშურა, რომელიც კარდაკარ პრინციპით გავრცელდა ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთისა და კახეთის რეგიონებში;
- ❖ გადამზადდნენ ორენოვანი ახალგაზრდები, რომლებიც ოპერატორებად დასაქმდნენ სამთავრობო ცხელ ხაზზე 144-1. აღნიშნული ცხელი ხაზის მეშვეობით მოქალაქეებს ეძლევათ შესაძლებლობა, მათ შორის სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე გაიარონ კონსულტაცია დაწესებული გადაადგილების დროებითი შეზღუდვის პირობებში საშვის გაცემის თაობაზე და აუცილებლობის შემთხვევაში მიიღონ მომსახურება;
- ❖ გადამზადდა ორენოვანი ახალგაზრდების მოხალისეთა ჯგუფი, რომლებმაც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებული 5 მუნიციპალიტეტის 36 სოფელში თანატოლებთან დისტანციური შეხვედრები ჩაატარეს კორონავირუსთან დაკავშირებულ საკითხებზე.



სოციალური დახმარების კამპანიის ფარგლებში სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ დედ-მამით ობოლ და შშმ ბავშვებს გადაეცათ საკვები პროდუქტებისა და ჰიგიენური საშუალებების პაკეტი (729). აქედან, ქვემო ქართლის რეგიონს გადაეცა -353 პაკეტი; სამცხე-ჯავახეთის რეგიონს - 134; კახეთის რეგიონს კი - 242 პაკეტი.

## 2.2 სახელმწიფო ენის ცოდნის გაუმჯობესება

სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესში მნიშვნელოვან გამოწვევას ჯერ კიდევ წარმოადგენს სახელმწიფო ენის ცოდნის დაბალი დონე. შესაბამისად, წლის განმავლობაში პრიორიტეტული იყო განათლების თითოეულ საფეხურზე იმ პროგრამებისა და პროექტების ეფექტიანი განხორციელება, რომელიც მიზნად ისახავს სახელმწიფო ენის ცოდნის დონის ამაღლებას.

ამ მიმართულებით მიმდინარე პოლიტიკას, როგორც მეთოდოლოგიურად, ისე აქტორების ჩართულობის კუთხით კომპლექსური ხასიათი აქვს. წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაფართოვდა ბენეფიციართა სეგმენტი. ქართული ენის სასწავლო პროგრამები და კურსები უკვე ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის, მათ შორის: სკოლის მოსწავლეებისთვის, სტუდენტებისთვის, საჯარო მოხელეებისთვის, სამხედრო მოსამსახურეებისათვის, რელიგიური პირებისთვის, მსჯავრდებულთათვის და სხვა.

სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის 12 რეგიონული ცენტრის ფარგლებში გაგრძელდა ქართული ენის სასწავლო პროგრამების და კურსების განხორციელება, შეიქმნა 186 მობილური და 125 სასწავლო ჯგუფი. მიმდინარე წლის მაისიდან, ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური სიტუაციიდან გამომდინარე და არსებული რეკომენდაციების შესაბამისად, ქართული ენის სასწავლო კურსები განხორციელდა დისტანციურ რეჟიმში.

## 2.3 ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

განათლების თითოეული საფეხური ხელმისაწვდომია ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის. უზრუნველყოფილია ასევე, ეთნიკური უმცირესობების მშობლიურ ენებზე განათლების მიღების შესაძლებლობა (აზერბაიჯანული, სომხური, რუსული).

დღესდღეობით საქართველოში ფუნქციონირებს 300-მდე არაქართულენოვანი საჯარო სკოლა და სექტორი. წარმატებით მიმდინარეობს გამარტივებული პროგრამა უმაღლესი, ასევე პროფესიული განათლების მისაღებად.

გლობალური პანდემიის გამოწვევების საპასუხოდ, ზოგადი განათლების საფეხურზე სასწავლო პროცესი წარიმართა დისტანციურ რეჟიმში. ამასთან, მიმდინარე წლის 30 მარტიდან



საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში დაინერგა და ამოქმედდა პროექტი „ტელესკოლა“, რომელიც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის თავდაპირველად ქართული ენის ტელეგაკვეთილების ჩატარებას ითვალისწინებდა, ხოლო შემდგომ ეტაპზე აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე სხვადასხვა საგნის გაკვეთილებიც დაემატა. ამასთანავე მნიშვნელოვანია, რომ არაქართულენოვანი აბიტურიენტებისთვის უკვე შეთავაზებულია ტელეგაკვეთილები ზოგად უნარებში.

სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის და კახეთის არაქართულენოვანი სკოლების საკადრო დეფიციტის დაძლევის მიზნით სკოლებში მივლინებულ იქნა მასწავლებელთა სამი ჯგუფი: 121 ქართლის, როგორც მეორე ენის კონსულტანტ-მასწავლებელი, 67 ქართლის, როგორც მეორე ენის და საზოგადოებრივი მეცნიერებების დამხმარე მასწავლებელი, 63 ორენოვანი დამხმარე მასწავლებელი ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სხვადასხვა საგნობრივი მიმართულებებით.

2010 წლიდან უმაღლესი განათლების მიღების ხელმისაწვდომობის მიზნით წარმატებით მოქმედებს „ქართულ ენაში მომზადების ერთწლიანი საგანმანათლებლო პროგრამა“ (ე.წ. „1+4 პროგრამა“), რომელიც არის უნიკალური და გამარტივებული გზა უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გასაგრძელებლად. პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება ერთი მშობლიურენოვანი ტესტის საფუძველზე - ზოგადი უნარები აზერბაიჯანულენოვანი ან სომხურენოვანი აბიტურიენტებისთვის და მშობლიური ენის ტესტი აფხაზური და ოსურენოვანი აბიტურიენტებისთვის. 2020 წელს პროგრამაზე ჩაირიცხა 1191 აბიტურიენტი. მათ შორის:

- ❖ ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი ტესტის საფუძველზე - 935
- ❖ ზოგადი უნარების სომხურენოვანი ტესტის საფუძველზე - 252
- ❖ მშობლიური ენის - ოსურენოვანი ტესტის საფუძველზე - 4

შესაბამისად, სტუდენტების რაოდენობა 2010 წელთან შედარებით თითქმის 5-ჯერ გაიზარდა. (2010 წელს -247 აბიტურიენტი, ხოლო 2020 წელს -1191).

სახელმწიფო სასწავლო გრანტი 2020 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი და ოსური ენის ტესტის შედეგების საფუძველზე მოიპოვა 196-მა აბიტურიენტმა:

- ❖ ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი ტესტის საფუძველზე – 99 აბიტურიენტი;
- ❖ ზოგადი უნარების სომხურენოვანი ტესტის საფუძველზე – 93 აბიტურიენტი;
- ❖ მშობლიური ენის - ოსური ენის ტესტის საფუძველზე - 4 აბიტურიენტი.

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს 2016 წლიდან აქვთ შესაძლებლობა სომხურ, აზერბაიჯანულ ან რუსულ ენაზე გაიარონ პროფესიული ტესტირება და სახელმწიფო დაფინანსებით ჩაირიცხონ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში. ჩარიცხვის



შემდეგ, პროფესიის დაუფლებამდე ისინი სწავლობენ ქართული ენის მოდულს. 2020 წელს პროფესიული განათლების დაწესებულებებში ჩაირიცხა ეთნიკური უმცირესობის 223 წარმომადგენელი.

გაგრძელდა მცირერიცხოვანი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მშობლიური ენების სწავლება (ოსური, ჩეჩნური, ხუნძური, უდიური, ასურული) მოთხოვნის შესაბამისად განსაზღვრულ საჯარო სკოლებში.

## 2.4 თანაბარი და სრულფასოვანი მონაწილეობა სამოქალაქო და პოლიტიკურ ცხოვრებაში

2020 წელს ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებში უზრუნველყოფილი იყო ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა თანასწორი და სრული მონაწილეობა. ამ მიმართულებით განხორციელდა რიგი ღონისძიებები:

- ❖ სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე მომზადდა და დაიბეჭდა სხვადასხვა საარჩევნო დოკუმენტაცია;
- ❖ ამომრჩეველთა ცნობიერების ამაღლების მიზნით ჩატარდა საინფორმაციო კამპანიები, გავრცელდა შესაბამისი საინფორმაციო მასალები;
- ❖ განხორციელდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი საარჩევნო ადმინისტრაციის წევრთა გადამზადება საარჩევნო პროცედურებთან დაკავშირებით;
- ❖ გაიხსნა 348 საარჩევნო უბანი (ქართულ-სომხურ, ქართულ-აზერბაიჯანულ, ქართულ-სომხურ-აზერბაიჯანული);
- ❖ ეთნიკური უმცირესობების საარჩევნო უფლებებზე ცნობიერების ამაღლების მიმართულებით საგრანტო დაფინანსების მიზნით გამოიყო 268 910, 25 ლ;
- ❖ განხორციელდა საგანმანათლებლო პროექტები და საინფორმაციო/ცნობიერების ამაღლების კამპანიები.

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდების საჯარო სამსახურში ჩართულობის გაუმჯობესების მიზნით 2017 წლიდან ხორციელდება „1+4 სტაჟირების პროგრამა“, რომელშიც დღემდე 300-მდე ბენეფიციარმა მიიღო მონაწილეობა. 2020 წელს კოვიდპანდემიის პირობებში დაწესებული შეზღუდვებიდან გამომდინარე პროგრამის განხორციელება დროებით შეჩერდა.

საანგარიშო პერიოდში ყურადღება დაეთმო ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალების მხარდაჭერას, მათ სოციალურ-ეკონომიკურ გაძლიერებას. ამ მიზნით სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მცხოვრები ქალებისთვის (16 ბენეფიციარი) განხორციელდა სასწავლო ტრენინგ-კურსი „მეწარმეობის პრაქტიკული კურსი - საინვესტიციო წინადადების მომზადება“.



და წარდგენა“, რომელიც ითვალისწინებს ქალების სამეწარმეო უნარ-ჩვევების განვითარებას, მიღებული ცოდნისა და უნარების პრაქტიკაში გამოყენებას.

მედიასა და ინფორმაციაზე წვდომის გაუმჯობესების მიზნით გაგრძელდა საინფორმაციო გადაცემა „მოამბის“ ტრანსლირება სომხური და აზერბაიჯანული ენის მატარებელი ხმოვანი ბილიკების თანხლებით. ასევე, ფუნქციონირება განაგრძო შვიდენოვანმა ვებ-პორტალმა - [www.itv.ge](http://www.itv.ge). ხელი შეეწყო არაქართულენოვან ბეჭდვით მედიას - სახელმწიფოს დაფინანსებით, წლის განმავლობაში რეგულარულად გამოიცემოდა სომხურენოვანი გაზეთი „ვრასტანი“ (102 ნომერი, 3800-4000 ტირაჟი) და აზერბაიჯანულენოვანი ყოველკვირეული გაზეთი „გურჯისტანი“ (56 ნომერი; ტირაჟი 2000). გაზეთები გავრცელდა, როგორც თბილისში, ისე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში, პენიტენციურ დაწესებულებებში.

2020 წელს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი გახდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში დეზინფორმაციის შესახებ ცნობიერების ამაღლება, როგორც სოციალური ზეგავლენის ნეგატიურ შედეგებზე, ასევე მისი გავრცელების პრევენციის სტრატეგიებზე. ამ მიზნით, დაიწყო ტრენინგების სერია თემაზე „დეზინფორმაციის ზეგავლენა სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესზე და მისი პრევენციის მნიშვნელობა“, რომელშიც მონაწილეობდნენ ზემოაღნიშნულ რეგიონებში მომუშავე ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები (30 მონაწილე). ტრენინგი გაგრძელდება სხვადასხვა სამიზნე აუდიტორიების მონაწილეობით, რომლებიც სამომავლოდ ხელს შეუწყობენ სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესში საზოგადოებისთვის ინფორმაციის სწორად მიწოდებას.

## 2.5 თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური პირობებისა და შესაძლებლობების შექმნა

ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში გაგრძელდა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება (გაზიფიკაცია, შიდა გზების, საირიგაციო და სასმელი წყლის სისტემების, გარეგანათების რეაბილიტაცია და სხვა). ასევე, გაგრძელდა საინფორმაციო/ცნობიერების ამაღლების კამპანიების წარმართვა სახელმწიფო პროგრამებისა და სერვისების შესახებ.

2020 წლის განმავლობაში გაგრძელდა პროექტი „ახალგაზრდა ევროპელი ელჩები“, რომელიც შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის, საგარეო საქმეთა სამინისტროს სსიპ ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრისა და საქართველოს გაეროს ასოციაციის ერთობლივი ინიციატივას და ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის პროგრამის” [PITA] ფარგლებში ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით ხორციელდება. პროექტის ფარგლებში



თანატოლგანმანათლებელთა მიერ ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთისა და კახეთის რეგიონებში საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესისა და მისგან მომდინარე სარგებლის შესახებ 9 მუნიციპალიტეტის 24 სოფელში გამართეს 37 შეხვედრა, რომელსაც დაესწრო 703 ბენეფიციარი (სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლები, მოსწავლეები და მასწავლებლები). კოვიდპანდემიის პირობებში შეხვედრები ონლაინ რეჟიმში წარიმართა.

ასევე, სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივით, საქართველოს გაეროს ასოციაციისა და „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის“ (CCIIR) მხარდაჭერით განხორციელდა პროექტი „ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის პროფესიული და უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის მხარდაჭერა“, რომლის ფარგლებშიც თანატოლგანმანათლებლებმა განათლების სფეროში არსებულ შესაძლებლობების, კერძოდ უმაღლესი და პროფესიული განათლების, ევროპაში განათლების მიღების შესაძლებლობების, ასევე, „1+4“ საგანმანათლებლო და სტაჟირების პროგრამების შესახებ ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული რეგიონების 8 მუნიციპალიტეტის 47 სოფელში 41 შეხვედრა გამართეს, ბენეფიციართა რაოდენობა - 517.

## 2.6 ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის შენარჩუნება და ტოლერანტული გარემოს უზრუნველყოფა

წლის განმავლობაში გაგრძელდა პროგრამების/პროექტებისა და ღონისძიებების განხორციელება, რაც მიზნად ისახავდა ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის განვითარებასა და პოპულარიზაციას. კულტურული თვითგამოხატვის ხელშეწყობისა და შემდგომი ინტეგრირების მიზნით მნიშვნელოვანი იყო მუზეუმებისა (წლიური ბიუჯეტი 222 000 ლ.) და თეატრების (წლიური ბიუჯეტი -1 940 800 ლ.) საქმიანობის ხელშეწყობა ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველყოფის გზით.

ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის თვითმყოფადობის შენარჩუნების მიზნით, პრიორიტეტის – „ეთნიკურ უმცირესობათა მხარდაჭერა“ – ფარგლებში გაგრძელდა კულტურის სფეროში მოღვაწე ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლების სხვადასხვა სახის ღონისძიების ხელშეწყობა. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდა 7 პროექტის მხარდაჭერა (საერთო ბიუჯეტი 98 765 ლარი).

## 2.7 თანამშრომლობა ადგილობრივ და საერთაშორისო აქტორებთან

წლის განმავლობაში წარიმართა შედეგზე ორიენტირებული თანამშრომლობა სამოქალაქო სექტორთან, ექსპერტებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთან/მოსახლეობასთან.





რეგულარულ რეჟიმში იმართებოდა შეხვედრები, დისკუსიები, კონსულტაციები. სახელმწიფო მინისტრი არსებული საჭიროებების, გამოწვევების გაცნობისა და მათი მოგვარების მიზნით პირადად და არაერთხელ ჩავიდა ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში და სამუშაო რეჟიმში განიხილა არსებული ვითარება.

ნაყოფიერი თანამშრომლობა შედგა სხვადასხვა საერთაშორისო ფორმატის ფარგლებშიც: სახელმწიფო მინისტრის აპარატის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ევროპის საბჭოს ანტიდისკრიმინაციის, მრავალფეროვნებისა და ჩართულობის მმართველი კომიტეტის (CDADI) პირველ პლენარულ შეხვედრაში, ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების კომიტეტის მე-6 შეხვედრაში, ასევე ევროკავშირსა და საქართველოს შორის ადამიანს უფლებათა დიალოგის მე-13 შეხვედრაში, რომლის ფარგლებშიც პარტნიორებს გაუზიარეს ეთნიკურ უმცირესობათა მხარდაჭერისა და ინტეგრაციის მიმართულებით მიღწეული პროგრესი, არსებული მდგომარეობა. ასევე, უზრუნველყოფილი იყო ჩართულობა ევროპის საბჭოს ბოშების საკითხზე ექსპერტთა კომიტეტის (ADI-ROM) მე-2 შეხვედრაში.

საერთაშორისო მექანიზმების ფარგლებში, წლის განმავლობაში, ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით აღებული ვალდებულებების შესრულების შესახებ მომზადდა შემდეგი ანგარიშები:

- ❖ უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის მე-3 მონიტორინგის ციკლის ფარგლებში - „საქართველოს სახელმწიფო ანგარიში 2020“;
- ❖ რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციის შესრულების ფარგლებში - მე-9 და მე-10 პერიოდული ანგარიშები;
- ❖ სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის შესრულების შესახებ საქართველოს მე-5 პერიოდული ანგარიში.

აღნიშნულ ანგარიშებში აისახა, მათ შორის ეთნიკურ უმცირესობათა დაცვისა და ინტეგრაციის მიმართულებით მიღწეული შედეგები.

წლის განმავლობაში, ეთნიკური უმცირესობების საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში ჩართვის, სახელმწიფო პროგრამებსა და სერვისებზე მათი ინფორმირებულობის/ცნობიერების ამაღლების, ასევე სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებებისა და პროექტების განხორციელების მიზნით, სახელმწიფო მინისტრის აპარატის მხარდაჭერა ხორციელდებოდა აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა (USAID) და საქართველოს გაეროს ასოციაციის (UNAG) „ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში.